

ახალი თარიღი



11 სექტემბრიდან!
„ახალი თარიღი“
**+
ეს საშუალო
ოქაანაები
10 ლარი**



14 — 15 სექტემბერი, 2013

№218 (6219)

ფასი: 30 თეთრი



გამუკა არეშიძე: „ბოკერიაშ სააკაშვილის ზურბს უკან დაიხეო მოქმედა“

გვ.3

300 ათასი ოჯახი აფეთქების საშიშროების წინაშე დგას

**რუსთავი „ქართული
ოცნებიდან“** **გვ.2**
**„დემოკრატიულ
მოძრაობაში“ 100-ზე
მეტი კაცი გადავიდა**



კახა მიქაია: „კოაბიტასიას კახაბიტასიით ვებრძვი“

გვ.5

**„რუსთავი 2“-ში
და „იმედი“
ანონიური
ზარბის ავტორები
ბავშვები იყვნენ**
მოვუწოდებ მშობლებს,
შვილებს ბოროტმოქმედების
ჩადენა აუკრძალონ



გვ.4

ცა- პეპატივი მალე მასობრივი ეროვნული უბედურება გახდება



გვ.4



ზურაბ ნინუაშვილი: „მორბევი მოქალაქეობა დანაშაულია?“

გვ.4

**სოსო მანჯავიძე: „ჩვენ
მოვანდობთ ფართომასშტაბიან
აქციებს, რომ ვადავლი
საპარლამენტო არჩევნები შედგას“**

გვ.2



გვ.2

ლევან კალანდია: „მთავრობის ეკონომიკური გუნდი უშეაკობს“



ლევან კალანდია: „მთავრობის აკონომიკური გუნდი ეზააკოვს“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ „ახალი ევრაზიის“ აკონომიკურ ექსპერტ ლევან კალანდიასთან

— ეკონომიკის მინისტრმა კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ძველი ვერტმფრენების გაყიდვა და ახალი ვერტმფრენების შეძენა სურდა. რამდენად არის ეკონომიკურად მომგებიანი ახალი ვერტმფრენების ყიდვა?

— ის ვერტმფრენები რაც იყო საზოგადოებისთვის ცნობილი, ძველ ვერტმფრენებზე ვაშობ, ნაკლებად არის სამხედრო დანიშნულების, მაღალი კლასის ვერტმფრენებია. საქართველოს არა აქვს ის ფუნქცია, რომ ასეთი ტიპის ვერტმფრენებით თანამდებობის პირებმა ისარგებლონ. რაციონალიზმი ბატონი კვირიკაშვილის განცხადებაში ნამდვილად იყო, კერძოდ, ამ ვერტმფრენების რეალიზებით საქართველოს შეეძინა სამხედრო დანიშნულების ვერტმფრენები და დაფიქსირებულიყო რაოდენობის ზრდაც ამ ახალი ვერტმფრენებისა, ამ ვერტმფრენების სამხედრო დანიშნულებით გამოყენება შეიძლება, ასევე სტიქიური უბედურებებისა და საგანგებო მდგომარეობის დროსაც, ასევე მთიან რეგიონებში სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად. ტექნიკური საშუალებები ოპტიმალური კრიტერიუმებით უნდა შეარჩიოს სახელმწიფომ, ამიტომ გონივრულია ეს განცხადება. ეს ტექნიკური საკითხია, რამდენად შეიძლება ძველი ვერტმფრენების ოპტიმალურ ფასში რეალიზაცია.

— რთველთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. გავრცელებული ინფორმაციაა, რომ ქართული ღვინის ექსპორტი 43%-ით გაიზარდა. საბჭოთა კავშირის შემდეგ ყველაზე მეტი რაოდენობის ყურძნის გადამამუშავება წელს მოხდა, ვრცელდება ასეთი ინფორმაცია, ანუ რას იტყვიან?

— ყურძნის გადამამუშავება წელს ჯერ არ მოხდარა, რთველი ახლახან დაიწყო. შეიძლება ვისაუბროთ მოსავლიანობაზე, ყურძნის ხარისხიანობაზე, მაგრამ ამ ეტაპზე ლაპარაკი იმაზე, რომ უპრეცედენტოდ მაღალი რაოდენობის ყურძენი გადამამუშავდა, შეუძლებელია. რაც რაიონებში რთველი ჯერ საერთოდ არ არის დაწყებული. რთველთან დაკავშირებით სახელმწიფომ გარკვეული მიდგომები შეცვალა და მწარმოებლის მაგივრად ყურძნის გადამამუშავებლების დაფინანსება დაიწყო. ამ საკითხს აქვს ბევრი უარყოფითი მხარე. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ აანაზღაურებს სახელმწიფო და კერძო სექტორი ლოჯისტიკის სამუშაოებს რთველის მიმდინარეობის პროცესში და ამის შემდეგ შეიძლება დასკვნების გაკეთება შედეგიდან გამომდინარე და არა მიმდინარეობის დროს. არის სირთულეები, რომლებიც უკავშირდება ლოჯისტიკის საკითხებს, მონეული მოსავლის ჩაბარების და შემდგომი გადამამუშავების საკითხები. გლეხობის უმრავლესობამ არ იცის, სად ჩააბაროს მოსავალი. არის ტექნიკური სირთულეები, დიდი რიგებია ყურძნის გადამამუშავებელ ქარხნებთან. გარკვეული დროისთვის ღვინის ქარხნებს უკვე შეესებოდა აქტი, გლეხი ვარდებდა მძიმე მდგომარეობაში. ეს საკითხი ხელისუფლებამ ჯერ ვერ მოაგვარა. ყურძენი მალფუჭებადი პროდუქტია, დიდხანს ვერ შეინახავ, რადგან მისი ხარისხი მკვეთრად შეიძლება გაფუჭდეს, მით უმეტეს, რუსეთის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურს ისედაც ბევრი პროტენზია აქვს საქართველოსთან. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ფასის თემა. კვლევა შეინიშნება ფასის დადგენაში ხელყოფილობა.

— სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფია განაცხადა, რომ შედარებით აგრესიულად ფარგლებში 95 225 158 ლარის სესხები გაცემული. თუ ხართ ინფორმირებული, როგორ მიმდინარეობს ამ აგრესიულობის გაცემა?

— ცუდი არ არის ამ აგრესიულობის გაცემა, მაგრამ ნუნი ამ პროგრამას მიხედვით, რომ ფინანსდება ამ პროგრამით უკვე მოქმედი სანარმოები, ახალი სანარმოების დაფინანსების ხვედრითი წილი ნულადაა, სახელმწიფო ახალი სანარმოების გაჩენაზე უნდა იყოს ორიენტირებული. იმედია, მომავალ წლებში ეს პროგრამა დაიხ-

ვენება. არ მაქვს ჩასაფრებული პოლიტიკა, მიმაჩნია, რომ მოკლე დროში ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია. სწორი ანალიზით ხარვეზების გამოსწორება შესაძლებელია.

— დიდი ხმაურია ატეხილი იპოთეკარებთან დაკავშირებით. საბანკო სესხების მაღალი პროცენტული განაკვეთები მინდა შეაფასოთ, ევროპასთან რამდენად არის ეს მიახლოებული?

— იპოთეკარებთან დაკავშირებით მართლაც რთული ვითარებაა, ეს მძიმე სოციალური

დენად შეეძლო მას, უზრუნველყო ისეთი გარემო, რომ სახელმწიფო ყოფილიყო ინიციატორი სამოცი და ასე ქარხნის აშენების. ეს იყო თავიდანვე არასწორი დაპირება პრემიერის მხრიდან. საზოგადოებამ ეს სატყუარა გადაყლაპა. სახელმწიფომ კი არ უნდა ააშენოს ეს ასე ან სამოცი ქარხანა, არამედ მან უნდა შექმნას ისეთი ეკონომიკური გარემო, რომ კერძო სექტორმა მოახერხოს ამ ქარხნების აშენება. გარემოც არ არის ისეთი, რომ ბიზნესმა უზრუნველყოს ქარხნების აშენება. სახელმწიფომ პირველი ორი კვარტალის მონაცემებით, შემცირდა ინვესტიციები, დაფიქსირდა უპრეცედენტოდ დიდი კაპიტალის გადინება საქართველოდან. ამ პირობებში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქვეყანაში სანარმოები აშენდეს. ბიზნესი პასიურ რეჟიმშია გადასული. ქვეყანაში წარმოებული ერთობლივი შიდა პროდუქტის პროცენტიც შემცირებულია და თითქმის ნულადაა. ბიზნესი არ არის მოტივირებული, რომ სანარმოები ააშენოს. ამას სჭირდება სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნესგარემოს ჩამოყალიბება.

— მაშინ რას ნიშნავს ნოდარ ხაფორის განცხადება, რომ ეკონომიკური მაჩვენებელი 4%-ით გაიზარდა, მაშინ როცა ეკონომიკურ სტატისტიკაზე სულ უფრო გახშირდა საუბარი?


— არ მინდა ბატონი ხაფორის კომენტარები, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელისუფლების ეკონომიკურმა გუნდმა გარკვეული ეშმაკობა იხარა. მან შეადარა პირველი კვარტალის მონაცემი მეორე კვარტალის მონაცემს, რატომაც დაავიწყდა, შეედარებინა 2012 წლის პირველი-მეორე კვარტალის შედეგებთან 2013 წლის შედეგები. ინვესტიციების თვალსაზრისით კვლევა დაფიქსირებული. მეორე კვარტალში დაფიქსირდა უპრეცედენტოდ დიდი კაპიტალის გადინება საქართველოდან, 140 მილიონი აშშ დოლარი გაედინა მარტო მეორე კვარტალში. დღეს ქვეყანაში სტაბილურად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, წლის ბოლოს ჩემი მოლოდინი არასწორი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებისა და ბიზნესზე არაორიენტირებული პოლიტიკის გამოც ძალიან მძიმეა.

— ივანიშვილს პრესკონფერენციაზე ურნალისტებმა კითხვა დაუსვეს, თუ ვინ იყო ყველაზე სუსტი რგოლი მის მთავრობაში და ახლა თქვენ მინდა გკითხოთ, ვინ არის ეკონომიკურ ბლოკში ყველაზე სუსტი რგოლი, პრემიერმა არავისზე არ გაამხვილა ყურადღება?

— ყველაზე სუსტი რგოლი არის ბიძინა ივანიშვილი. ის არის ყველაფერზე პასუხისმგებელი. ვალდებულია, რომლებიც მან მოიშორა და ამით ხელეობს დაიბნა, შემირებები მოიცოლა თავიდან, ნიშნავს იმას, რომ ის აღმოჩნდა უუნარო, შეესრულებინა ეს დაპირებები, რომლებიც უხვად ვსაცა. სირთულეებს გაეცა. ამიტომაც ის არის ყველაზე სუსტი რგოლი ამ მთავრობაში.

— პრემიერის შემცველზე საუბარი, სახელდება სხვადასხვა კანდიდატურა, მათ შორის გიორგი კვირიკაშვილიც. ეკონომიკის მინისტრი რამდენად შესაფერისი კანდიდატურა იქნებოდა ამ პოსტზე?

— მე შემიძლია ერთი რამ გითხრა, რომ ის არის ძალიან კარგი ადამიანი, ძალიან ჭკვიანი, პატიოსანი, პირადი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვაშობ. რამდენად კარგი პრემიერი იქნება, ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად თავი სუფალო იქნება კვირიკაშვილი მოქმედებებში. არა მხოლოდ კვირიკაშვილი, ვინც უნდა დაასახელო, ნებისმიერი ადამიანი უნდა იყოს დამოუკიდებელი გარეუქი ძალებისგან. წარმოუდგენელია ივანიშვილის განცხადება, რომ ის მადის მთავრობიდან, მაგრამ ყველა ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებლობას იტოვებს. თუ არ ხარ მთავრობაში, აღარ მონაწილეობ საკავშირეო პოლიტიკაში და გადამწყვეტილებების მიღებაში, მაშინ რა ვალდებულებები იღებ საკუთარ თავზე. მაშინ, გამადის, რომ არაოფიციალურად გარკვეულ საცემებს ინარჩუნებ ხელისუფლებაზე. ასეთ შემთხვევაში, ვინც უნდა იყოს მომავალი პრემიერი, ის იქნება უუნარო და მარიონეტი ფიგურა, ასევე მთავრობა იქნება მარიონეტი დიდი კაპიტალის მქონე პიროვნების ან დაჯგუფების ხელში.



პრობლემა. სახელმწიფომ, წესით, უნდა შეძლოს მედიატორული როლის შესრულება კერძო ბანკებსა და იპოთეკარებს შორის. იმ იპოთეკარების რაოდენობა დიდი არ არის, ვისი აღსრულების საქმე უკვე დაწყებულია. ექვსასი ოჯახია. მათი პრობლემის მოგვარება სახელმწიფოს უნდა შეეძლოს. ახალი ხელისუფლების წინასწარჩვენო პროგრამაში დიდი ადგილი ამ პრობლემის მოგვარებას ეკავა. არავინ არავის არაფერს პატიობს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ ექვსასი ოჯახის პრობლემა შეიძლება ხვალ ექვსი ათასი ოჯახის პრობლემა გახდეს. სახელმწიფოს შეუძლია იტვირთოს მედიატორის როლი და გარკვეული გრაფიკით მოხდეს ვალის გადახდის პროცესი. ადრე თუ იყო დაპირება ამ პრობლემის მოგვარებისა, ახლა სახელმწიფომ მთლიანად დაიბნა ხელი ამ საკითხთან დაკავშირებით. მესმის, რომ ეს არის კერძო საკონტრაქტო სამართლის პრობლემა, რომელიც მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ, მაგრამ მძიმე პრობლემაა და მის შეუძლია, სოციალური ფონი კიდევ უფრო დაამძიმოს, ამიტომაც სახელმწიფოს როლი უნდა იყოს მაღალი და არა ისეთი პასიური, როგორც დღეს არის. იყო დაპირება, რომ შეიქმნებოდა სპეციალური პროგრამა, რომელიც იპოთეკარების პრობლემის მოგვარებაზე იქნებოდა ორიენტირებული, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თუ ეკონომიკური მაჩვენებელი ქვეყანაში გამოსწორდება და ინვესტიციების შემოდინების მაჩვენებელი გაიზარდება, მაშინ ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია. სასესო კრებულების ფასი დაიწვეს ასეთ შემთხვევაში. ბანკებს აქვთ ჭარბი სასესო კაპიტალი, მაგრამ დაკრედიტების მაჩვენებელი დაბალია.

— სარეკლამო რგოლებს, ალბათ, ყურადღებას მიაქცევდით, რომლებშიც აღნიშნულია, რომ სამოცი ქარხნის აშენების დაპირება იყო და არ შესრულდა. ეს რგოლები „ქართული ოცნების“ სანაწარმოებელი არის მიმართული. ერთ წელიწადში რამდენად შესაძლებელია სამოცი ქარხნის აშენება?

— ეს კითხვა უფრო პრემიერს ეხება, რამ-

მიხეილ სააკაშვილს შსს პასუხობს

შინაგან საქმეთა სამინისტრო პრეზიდენტის იმ განცხადებას ეხმაურება, რომელიც მან გუშინწინ სტუდენტებთან შეხვედრისას გააკეთა. კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის თქმით, ქუთაისსა და გორში მართვის მონაშობების უკანონოდ გაცემა მიმდინარეობს, რაშიც მოქალაქეებს 500 ლარს ახდევინებენ.

„შსს აცხადებს, რომ მსგავსი განცხადება სამართალდამცავი უწყებისათვის შეურაცხყოფილია და პოლიციის დისკრედიტაციასაკენაა მიმართული. სამინისტრო მოუწოდებს პრეზიდენტს თავი შეიკავოს სამართალდამცავი სტრუქტურების შეურაცხყოფილი და ცილისმამბელოური განცხადებების გაკეთებისგან“ — ნათქვამია უწყების განცხადებაში.

ნოსტრუსი რუსთაველი „ქართული ოცნების“ „დამოკარბიულ მოქალაქეში“ 100-ზე მეტი კასი გაღვივა

ქალაქ რუსთაველი გუშინ, კოალიცია „ქართული ოცნების“ რიგები დაახლოებით 110-მა აქტიურმა წევრმა და კოორდინატორმა დატოვა და ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერთა რიგებში გაერთიანდა. ამის შესახებ „ნოსტრუსის“-ს ნინო ბურჯანაძის რუსთაველი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა თორნიკე არევაძემ განუცხადა.

მისი თქმით, კოალიციის დატოვების ძირითად მიზეზად ისინი სამართლიანობის აღდგენის პროცესის ჩავარდნას ასახელებენ.

„განცხადება კოალიციიდან წამოსვლის შესახებ, დღეს დაახლოებით 110-მა აქტიურმა მხარდამჭერმა და კოორდინატორმა გააკეთა. ამის მიზეზად ისინი სამართლიანობის აღდგენის პროცესის ჩავარდნას ასახელებენ და აცხადებენ, რომ მათ, ხელისუფლების ცვლის შემდეგ, მოლოდინის სანაწარმოებელი შედეგი მიიღეს. გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ ყოფილ წევრთა განცხადებით, რუსთაველი კოალიციის წინააღმდეგ მიმართული „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების რეანიმირება ხდება და ის ხალხი, ვინც დაარსების პირველივე დღიდან, „ქართული ოცნების“ მხარს საკუთარი უსაფრთხოების რისკის ფასად უჭერდა, დღეს ნაციონალურმა გვერდზე გასწიეს და ჩაანაცვლეს“ — განაცხადა არევაძემ.

ნოსტრუსი ბიორგი მარგველაშვილი გურიში ამომრჩეველს შეხვდა

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი გუშინ გურიის მოსახლეობას შეხვდა. ჩოხატაურელმა პრეზიდენტობის კანდიდატი ნოდარ დუმბაძის შვილმა ქეთევან დუმბაძემ და ენერგეტი-



კის მინისტრმა კახი კალაძემ წარუდგინა.

როგორც მარგველაშვილმა განაცხადა, როგორც იქნა მოვიდა საქართველოში ის ხელი-სუფლება, რომელმაც გლეხებისკენ გაიხედა.

„27 ოქტომბერს იმიტომ უნდა იყო თქვენ აქტიური, რომ რისი გაკეთებაც ახალმა მთავრობამ დაიწყო, ბოლომდე მივიყვანოთ. გურულელები ძალიან მშრომელი ხალხი ხართ. ჩემთან ერთად იმყოფება აქ ენერგეტიკის მინისტრი, თქვენი დეპუტატები, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ თქვენზე. ჩვენ უკვე დაიწვეთ რუსეთის ბაზრის ათვისება და ყველაფერს გავაკეთებ, რომ თქვენი შრომა დაფასებული იყოს. მენდეთ ისე, როგორც მენდო ბიძინა ივანიშვილი“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

ჩოხატაურის ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ, მარგველაშვილი პროფესორ მსოფი გოგიბერიძის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პირველი

ახალი თამბაქო

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი

მთავარი რედაქტორი — სოხო გოგინაშვილი

რედაქტორი — ლალი ასლიანი

რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგივილი

კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ფიფია, საენინაშვილი სამსახური — ჯორჯ ბალაშაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55

გაფრეკლების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბდობა — ინგა დვალისვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქაჭავაძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.

ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები ამ რეკლამის და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნონა ცაბაძე

ექსპედიტი ვაჟასიის საკითხებში მამუკა ახეშიძე მიიჩნევს, ხომ დღეს ქვეყანაში ნამდვირად ახ ახის სახაზიველ მდგომარეობა. უამაზი ჰხობღემა დაგხოვდა, ხომღეც ვეი გვახეება.

ნამდვილად არ არის სასია-მოვრო მდგომარეობა იმ თვალსაზრისით, რომ, როგორც ჩანს, რთული პოლიტიკური ცხოვრება გველის უახლოესი თვეების განმავლობაში, — აცხადებს ექსპერტი და იქვე აღნიშნავს, რომ მისთვის და მისნაირებისთვის მთავარი ის კი არ არის, რომ პრემიერი მიდის, მის წასვლასაც აქვს მიზნები, ზოგისთვის მისაღები, ზოგისთვის მიუღებელი. მათთვის მთავარი ის უნდა იყოს, რომ, სამწუხაროდ, ამ ხნის განმავლობაში ვერ მოხდა მნიშვნელოვანი გარღვევა საზოგადოების, ქვეყნის ეკონომიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში. არის რიგი საკითხები, რომელიც საერთოდ ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღების მიღმა აღმოჩნდა.

ბატონო მამუკა, კონკრეტულად რა საკითხები გაქვთ მხედველობაში?

ეს არის უსაფრთხოების საკითხი, ეს არის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. ეს არის საკითხები, რომელიც ეხება რელიგიურ და ეროვნულ უმცირესობებს და ასე შემდეგ. ეს საკითხები არის ძალიან მნიშვნელოვანი. ახლა რაც შეეხება იმას, როდესაც ვამბობ, გარღვევა ვერ მოხდა-მეთქი, ყველაზე მეტად დღეს საზოგადოებას რა აინტერესებს? დღეს ნებისმიერი სოციოლოგიური გამოკითხვა გვაჩვენებს, რომ პირველ ადგილზე დგას ერთიანი ინტეგრირებული სამართლიანობის აღდგენა, შემდეგ არის სოციალური თვალსაზრისით შექმნილი პრობლემები, რომლის გამოსწორებასაც საშუალება არ დაადავდა და, გარდა ამისა, არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი, ტრადიციული ფასეულობების მუდმივი ხელყოფა. აქედან გამომდინარე, ერის, საზოგადოების ფსიქოლოგიის რღვევა და ბევრი სხვა რამ. რასაც ძირითადად საყვედურობენ პრემიერსა და მთავრობას, ეს არის ცოდნის უფლებების და დაპირებების ტოტალური არშერღვევა, თუ გინდათ, ვერ შესრულდება. ამაში ყველაფერი შედის, კობახიძეც და სხვა საკითხებიც. საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ ბიძინა ივანიშვილს გადადგომის უფლება არა აქვს მანამდე, ვიდრე არ შექმნის მყარ გარანტიებს, რომ ის დაპირებები, რაც იყო არჩევნების წინ, იმ დაპირებების შესრულება დაინწყება. აი, ამის მყარი გარანტია სჭირდება საზოგადოებას. წერე შეიძლება, უბრალოდ, ადამიანი წავიდეს, თუ მას არ უნდა პოსტზე ყოფნა. ეს არის პრობლემათა გორგალი, რომელთა გადაჭრა არის ძალიან რთული. მე, მაგალითად, კიდევ ერთ რამეს ვხედავ დამატებით.

რას ხედავთ?

მე ვხედავ, რომ სახელისუფლებო ვერტიკალი არ მუშაობს. მე ვხედავ, რომ ყველა უწყებებში პრობლემა შექმნილი, პრობლემა პროფესიონალიზმისა და ინიციატივის თავის თავზე აღების, იმისთვის, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს. მე ვხედავ, რომ აშკარა საბოტაჟის ფორმება სხვადასხვა დარგში. მე ვხედავ, რომ არსებობს მუხუთე კოლონა ძალთაგან სტრუქტურებში. ამას ყველაფერს ვხედავ. თუნდაც სულ გუშინდელი დღის პრობლემა ავიღოთ, იმ ორგანიზაციებმა და შტაბებმა, რომელსაც ჩაბარებული აქვს ყურძნის რთველის ჩატარება. პირი შეკრეს და გამოაცხადეს, რომ კონკრეტულ ფაზაზე მეტს არ გადაიხდებიან ყურძენში. თვითონ ყურძნის მიმღები ქარხნები, რადგანაც რუსეთის გზა გაიხსნა, ბევრად მეტს სთავაზობდნენ გლეხებს ადრე, ვიდრე ამ შემთხვევაში. მაგალითად, საფერავი ქარხნების შეფასებით, ვთქვათ, ღირს ლარ-ნახევარი, რაც აწყობდა გლეხსაც, ფერმერსაც და ყველას და თვითონ ქარხანასაც. მოვიდა დირექტორი შტაბებიდან, რომ ღარი და ათზე მეტად არ ჩაიბაროთ.

ამან გლეხების გაღიზიანება გამოიწვია?

გაღიზიანება რომელია, ამან საშინელი დაპირისპირება გამოიწვია გლეხებსა და ქარხნის მენეჯერებს შორის. თუმცა არაფერი შუაში არ იყენენ ქარხნის მენეჯერები, მათ დირექტივა მოუვიდათ ასეთი. გაკვირვებულნიც კი იყვნენ, პირიქით, მეტს იხდენ, ნაკლებს ხომ არა? თან რესურსი ხომ მათი არ არის, რესურსი გამოყოფო სახელმწიფომ და პირადად ბიძინა ივანიშვილმა.

— ვინ მოაწყო ეს საბოტაჟი? — ვილაყა ჯგუფი ადამიანების, რომლებიც ამ შტაბში არიან მოკალათებული, აი, ასეთი ბრძანება გასცა. გუშინ საჭირო გახდა თბილისელების საზოგადოების აქტიური ჩარევა, ერთიერთი სამთავრობო უწყების, რომელსაც გავლენა აქვს მთელ ქვეყანაში, იმიტომ რომ საზოგადოების ამ ჯგუფმა გააგებინა ეს ამ უწყებას, პირდაპირ მივიდა და განუცხადა მინისტრს, რომ



ასეთი მდგომარეობა, საბოტაჟია. ჩაერთა თუ არა სამინისტრო და თვითონ მინისტრი, ფასმა მოიმატა, ისე, როგორც იყო თავიდან ნათქვამი.

ყველა სფეროში ცდილობენ საბოტაჟს?

— აბსოლუტურად ყველა სფეროში. პლუს საბოტაჟს ემატება ზოგიერთი მინისტრის უნიათობა, უინიციატივობა და არაპროფესიონალიზმი. გაჩერებულია ყველაფერი, მეტი კი არ უნდა, პატარა ქვეყანა საქართველო. ისედაც სუსტი და არამყარი ეკონომიკაა. ახლა რაც შეეხება სოციალურ ძვრებს, რასაკვირველია, ხელისუფლებამ შეიმუშავა ბევრი ძალიან კარგი მიდგომა, გადაწყვეტილება მიიღო. მაგალითად, პენსიის ზრდა თქვა, შეასრულა და პენსიამ მოიმატა, ისე, როგორც იყო განკარგული პროგრამაში. ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ უფრო მეტს ვპირდებით ხალხს, მაგრამ პროგრამაში რაც იყო სანდო, ის შეასრულეს. იგივე სოციალურ პაკეტებთან დაკავშირებით, მაგრამ, რად გინდა, ხელისუფლებამ ყველაფერი გათვლილი ჰქონდა, სინამდვილეში კი ხალხი აწყდება გაუგებრობას და შევიწროებას ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულების მხრიდან. ამას სჭირდება დამატებითი კონტროლი, ეს რომ არ ხდებოდეს. მაინცდამაინც კიდევ საზოგადოების წარმომადგენლები უნდა ჩაერთონ და მივიღენ ჯანდაცვის სამინისტროში, რომ ეს სურათი შეიცვალოს? რად უნდა ამას ბევრი ფიქრი და მსჯელობა? ვერ უნდა გიბედავდნენ სამინისტროს, რომ ვილაყა თავის ნებაზე წვეტდეს ყველაფერს, მერე შემოდიოდნენ ვილაყა ინვესტორები, რომლებიც სამედიცინო თვალსაზრისით აბსოლუტურად ამორალურად იქცეოდნენ და ქმნიდნენ არაჯანსაღ სიტუაციას ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებაში. კიდევ ტრავმირება უნდათ იმ ავადმყოფ ბავშვებს? აი, ამას ვლავარაკობ მე, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მოშველეთ თვალსაზრისით აბსოლუტურად ყველა სფეროში და ყველა რასაც უნდა, იმას აკეთებს და ხელს ითხოვენ შექმნილ სიტუაციაზე. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ თბილისის მოსახლეობის ერთი ნაწილი, დაახლოებით სამასი ათასი აბონენტი, პრაქტიკულად, ბომბზე ზის.

რატომ, ბატონო მამუკა, რას ხედავთ?

— იმიტომ, რომ ერთ-ერთმა უწყებამ, რომელმაც გაზი შეუყვანა ამ ადამიანებს სახლში, გამოიყენა არამაპროფიციენტული მიღები. წყლის მილები გამოიყენა გაზის მილების სანაცვლოდ. ამდენი ხანია პროკურატურაში ეს საბუთები დევს და ვერაფრით ვერ დაადავა საშველი, ვიდრე ვილაყა არ აფეთქდება, მანამდე ყურს არ გაიბარტყუნებს არავინ. აი, ასეთი სურათია. მე ამ შემთხვევაში რას ვლავარაკობ, ეს არის უნიათობა, არაპროფესიონალიზმი და პლუს საბოტაჟი. ამას სჭირდება სერიოზული კონტროლი და ამას

გაპირდებოდა, მალე დაეტოვებ ხელისუფლებასო, ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ მასზე სერიოზული ზედწესდება. ასევე საუბრობენ იმაზეც, რომ ის გუნდზე სერიოზულად არის განაწვენილებული. თქვენ რომელ ვერსიას ემხრობით?

— რასაკვირველია, მასზე ზედწესდება არის, თუმცა ეს ზედწესდება არ მომდინარეობს გუნდის მხრიდან. გუნდის მიმართ სერიოზული იმედგაცრუებაა. არამხოლოდ გუნდის მიმართ სიტუაციის მიმართაც იმედგაცრუებულია. ივანიშვილს ვერ წარმოედგინა პოლიტიკის, თვითონ ამ „დარჯის“ მთელი სიბინძურე. ეს ვერ წარმოედგინა და ეს

საც. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ვერავინ ამოხსნა, რატომ ხდება ეს ამბავი. ფაქტია, რომ არ ყოფილა არც იქ და არც იქ. როგორც ჩანს, ივანიშვილი ფიქრობს, რომ ხელმოწერითი პასუხისმგებლობა მასზე არ იყო ამ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მომავალ პრემიერს მოუწევს ამ გადაწყვეტილებების დოკუმენტზე ხელის მოწერა. იქნება ვეროკავშირის წევრობა, ნატოში განწევრიანება თუ სხვა ორგანიზაციაში განწევრიანება. როგორც ჩანს, ივანიშვილისთვის უკეთესია, გვერდზე იყოს და კორექტივები შეიტანოს პრემიერის თუ პოლიტიკური ელიტის ქმედებაში.

რამდენად გამოუვა? გვერდიდან მართვას ვგულისხმობ...

— ეს ნამდვილად გამოუვა, მაგრამ არ გამოუვა სხვა, რაზეც მე სულ ვსაუბრობ, ეს არის ხელისუფლების შიდა პოლიტიკისა და შიდა პროცესების მართვა საზოგადოებრივი ტრიბუნიდან. არ გამოუვა ეს ამბავი. ჯერ ერთი, ამას მიეცემა არაჯანსაღი ელფერი. ერთი, გავლენა როცა გაქვს ხელისუფლებაზე და მეორე, როცა ხელისუფლებას კულუარებიდან მართავ. გავლენა სოროსსაც აქვს ამერიკის შვერთებულ შტატებზე, მაგრამ სოროსი ვერ მართავს პროცესებს და ამერიკის პოლიტიკაზე მას გადამწყვეტი მოქმედების საშუალება, ბუნებრივია, არა აქვს. ბიძინა ივანიშვილი ვერ შეასრულებს ქართველი სოროსის ფუნქციას იმ თვალსაზრისით, რომ პოლიტიკურ პროცესზე მას გადამწყვეტი გავლენა არ ექნება. უბრალოდ, ვერ ექნება. ეს არ არის სწორი და არ არის გამართლებული. ბუნებრივია, რაღაც კორექტივების შეტანა შეუძლია. ის ავტორიტეტული და დამსახურებული ადამიანია და აქვს ამის საშუალება სხვადასხვა ფორმით. აქედან გამომდინარე, მე გამიჭირდება თქმა, მისი ამ თვალსაზრისით მუშაობა რამდენად იქნება პროდუქტიული. ამიტომ ვვარაუდობ იმას, რომ მიშველებული პოლიტიკური პარტიები და, მე პირველ რიგში კოალიციაზე ვსაუბრობ, აუცილებლად მოინდომებენ ვრცელი ადგილის დაკავებას და დაიწყება ისეთი პოლიტიკური ბრძოლა, რომ მტრისად და ავისას. მით უმეტეს, რომ მორიგი არჩევნებია ცხვირწინა ანუ ადგილობრივი არჩევნები. დღევანდელი კონსტიტუციიდან გამომდინარე უკვე ადგილობრივი არჩევნები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნები, მით უმეტეს ადგილობრივი თვითმართველობის ახალი კანონიდან გამომდინარე.

საპრეზიდენტო არჩევნებს რაც შეეხება, ივანიშვილი აცხადებს, რომ მარტო მარტო ერთი პრეზიდენტი ლიდერია. თქვენც ასე ფიქრობთ?

— მე ვერ ვიტყვი მას. სხვათა შორის, მე ნაკლებად ვინებები მაგ საქმეში. მე გადავხედე და რა ცვლილებებიც შედის კანონში ამ პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, ეს არის ცარიელი ადგილი. ამიტომ, მართალი გითხრათ, ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

ბატონო მამუკა, საუბრის ბოლოს ჩვენს მოქმედ პრეზიდენტზეც მინდა რომ გკითხოთ, ხომ არ გგონიათ, რომ მშვიდად ეგუება ბედს, თუ რამე აქვს ჩაფიქრებული? დაქვთ განაცხადეთ, ასე მარტივად არ დათმობსო და რა იგულისხმებთ?

— მე ვთქვი, ასე მარტივად არ დათმობს-მეთქი, მაგრამ სხვას ვგულისხმობდი, რომ არ დათმობენ. და რომ არ დათმობს მარტოვად, ეს უკეთესია, ხომ? დამატებით ხან ერთ მსგავს რაიონში შეიქმნება და ხან მეორეში. პრინციპში, ეს ნაციონალური მოძრაობის ერთი ჯგუფის ქმედების შედეგია. არ არის ის, რომ მინცდამაინც მუსლიმანებსა და ქრისტიანებს შორის შეიქმნა სერიოზული დაძაბულობა. დაძაბულობა იქმნება მაშინ, როდესაც ეს ვინმეს სჭირდება. ეს კი სჭირდება გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფს როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ. თვითონ მიხელი სააკაშვილი დღეს ნაციონალურ მოძრაობასაც აღარ სჭირდება. ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი, თუ ატყობთ, მაქსიმალურად ცდილობს დისტანცირებას.

მაშინ, ვინ მართავს პროცესებს მათ გუნდში?

— იქ ძირითადი ფიგურა, იდეოლოგიური ღერძი არის გიგა ბოკერია, რომელმაც უკვე კარგად იცის, რა ფაზა ადევს მიხელი სააკაშვილის და აქედან გამომდინარე ცდილობს, იდეოლოგიურ პროცესში სააკაშვილი დატოვოს გვერდზე.

მამუკა არეშიძე: „ბოკერია სააკაშვილის ზურგს უკან დაიწყო მოქმედება“

300 ათასი ოჯახი აფეთქების საშიშროების წინაშე დგას

რეალობაა. კაცმა 55-56 წელი იცხოვრა აბსოლუტურად სხვა რეალობაში და სხვა საქმეს აკეთებდა. მას არავითარი შებენა ამ საქმესთან, ამ დარგთან მას არ ჰქონია. რასაკვირველია, ეს იმედგაცრუება არის, რადგან მისმა გონებამ და ფსიქიკამ ვერ მიიღო ეს დარგი. არის სხვა მიზეზებიც, მასზე ზედწესდა მართლა არსებობს და თანაც სერიოზული. ზედწესდა ხორციელდება ყველა ჩვენი მეზობლის მხრიდან? განსაკუთრებით აქტიურები არიან, ბუნებრივია, რუსები და ასევე დასავლეთი. დღეს ჩვენ ვართ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტის წინაშე, ფაქტისა, რომელსაც ვერ აცნობიერებს მთლიანად ქართველი საზოგადოება, ეს არის ორიენტაციის არჩევნის გარკვეული ეტაპი. ვილნიუსის სამიტი, ძალიან მნიშვნელოვანია ორიენტაციაზე ბეჭედდარტყმის ეტაპად. ჩვენ ვხდებით ევროკავშირის ასოცირებული წევრი და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ეს მოსკოვისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. იმდენად მიუღებელია, რომ ჩვენთან ერთად ვისაც უნდა მოეწონა ხელი, მოგვხსენებთ სომხეთს, მის წინააღმდეგ ლამის ომი გამოაცხადა რუსეთმა. პოლიტიკურ ომს ვგულისხმობ. ბოლოსდაბოლოს მიადინა იმას, რომ უარი ათქმევინა ამ საქმეზე და სომხეთმა ხელი მოაწერა რუსეთთან ერთად საბაჟო კავშირში განწევრიანებაზე. ახლა რა ტიპის ზედწესდა ამ თვალსაზრისით, კულუარულად წარმოიდგინეთ, როგორც დასავლეთიდან, ისე ჩრდილოეთიდან. გარდა ამისა, სხვა მეზობლებიც თავიანთ ინტერესებიდან გამომდინარე აქტიურობენ, მაგალითად, აზერბაიჯანი და თურქეთი. ვერ ვიტყვი, რომ ამ ზედწესდა ვერ გაუძლო ივანიშვილმა, მას უარესებისთვისაც გაუძლია. მე ვთვლი, რომ აქ გარკვეული მანევრი იყო. ივანიშვილი მსხვილ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს პრინციპულად არ იღებს, ორიენტაციასთან დაკავშირებული. ყველაზე კარგი მაგალითი კი ის არის, რომ ის არ ყოფილა ვიზიტით არც ვაშინგტონში და არც მოსკოვში.

საინტერესოა, რატომ?

— სწორედ რომ საკვირველია და ეს აკვირვებს არა მხოლოდ ქართველ საზოგადოებას, არამედ ჩვენს პარტნიორებსაც და ჩვენს მონიალმდეგებულ რეალობაში. კაცმა 55-56 წელი იცხოვრა აბსოლუტურად სხვა რეალობაში და სხვა საქმეს აკეთებდა. მას არავითარი შებენა ამ საქმესთან, ამ დარგთან მას არ ჰქონია. რასაკვირველია, ეს იმედგაცრუება არის, რადგან მისმა გონებამ და ფსიქიკამ ვერ მიიღო ეს დარგი. არის სხვა მიზეზებიც, მასზე ზედწესდა მართლა არსებობს და თანაც სერიოზული. ზედწესდა ხორციელდება ყველა ჩვენი მეზობლის მხრიდან? განსაკუთრებით აქტიურები არიან, ბუნებრივია, რუსები და ასევე დასავლეთი. დღეს ჩვენ ვართ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტის წინაშე, ფაქტისა, რომელსაც ვერ აცნობიერებს მთლიანად ქართველი საზოგადოება, ეს არის ორიენტაციის არჩევნის გარკვეული ეტაპი. ვილნიუსის სამიტი, ძალიან მნიშვნელოვანია ორიენტაციაზე ბეჭედდარტყმის ეტაპად. ჩვენ ვხდებით ევროკავშირის ასოცირებული წევრი და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ეს მოსკოვისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. იმდენად მიუღებელია, რომ ჩვენთან ერთად ვისაც უნდა მოეწონა ხელი, მოგვხსენებთ სომხეთს, მის წინააღმდეგ ლამის ომი გამოაცხადა რუსეთმა. პოლიტიკურ ომს ვგულისხმობ. ბოლოსდაბოლოს მიადინა იმას, რომ უარი ათქმევინა ამ საქმეზე და სომხეთმა ხელი მოაწერა რუსეთთან ერთად საბაჟო კავშირში განწევრიანებაზე. ახლა რა ტიპის ზედწესდა ამ თვალსაზრისით, კულუარულად წარმოიდგინეთ, როგორც დასავლეთიდან, ისე ჩრდილოეთიდან. გარდა ამისა, სხვა მეზობლებიც თავიანთ ინტერესებიდან გამომდინარე აქტიურობენ, მაგალითად, აზერბაიჯანი და თურქეთი. ვერ ვიტყვი, რომ ამ ზედწესდა ვერ გაუძლო ივანიშვილმა, მას უარესებისთვისაც გაუძლია. მე ვთვლი, რომ აქ გარკვეული მანევრი იყო. ივანიშვილი მსხვილ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს პრინციპულად არ იღებს, ორიენტაციასთან დაკავშირებული. ყველაზე კარგი მაგალითი კი ის არის, რომ ის არ ყოფილა ვიზიტით არც ვაშინგტონში და არც მოსკოვში.

ერთი ნაწილი ამართლებს ივანიშვილის გადაწყვეტილებას. ის ხომ



აკანიზაზა იტალიური ღარბის მოლოდინია



ინფორმაცია

14.09 მანჩესტერი-კრ.პალასი	1.2	6.5	13.0
14.09 ფულემი-ვესტ ბრომვიჩი	2.05	3.4	3.6
14.09 ტოტენჰემი-ნორვიჩი	1.44	4.2	7.5
14.09 პალი-კარდიფი	2.4	3.1	3.1
14.09 ასტონ ვილა-ნიუკასლი	2.1	3.3	3.6
14.09 სანდერლენდი-არსენალი	6.0	3.2	1.7
14.09 სტოკი-სიტ	6.0	3.2	1.7
14.09 ევერტონი-ჩელსი	3.2	3.3	2.25
15.09 საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი	1.85	3.4	4.5
16.09 სუონსი-ლივერპული	3.2	3.3	2.25

მანჩესტერი-კრ.პალასი
მანჩესტერი: **ტრავიზი** რუნი, ფილ ჯონსი, დარენ ფლეტჩერი, რაფაელი კრ.პალასი: **ტრავიზი** ჯონათან უილიამსი, ჯეკ პანტი, ლუის პრაისი, იალა ბოლასი, პატრიკ მკარტი, გლენ მიურეი, ჯერომ ტომასი

ფულემი-ვესტ ბრომვიჩი
ფულემი: **ტრავიზი** აარონ ჰაგესი, მარტინ სტეკელენბურგი, კირონ რიჩარდსონი

ტოტენჰემი-ნორვიჩი
ვესტ ბრომვიჩი: **ტრავიზი** ჯემს მორისონი, მათეი ვუდრა, ბენ ფოსტერი, სტივენ რიდი, ზოლტან გერა

პალი-კარდიფი
ტოტენჰემი: **ტრავიზი** გილვი სი-გურდსონი, ეტიენ კაპუ, აარონ ლენონი, ნორვიჩი: **ტრავიზი** ელიოტ ბენეტი, რაიან ბენეტი, გარი ჰუპერი

არსენალი
პალი: **ტრავიზი** მკარტეგორი, სონი ალუკო, ჯორჯ ზოიდი, აბდულაია ფაი

სანდერლენდი-არსენალი
კარდიფი: **ტრავიზი** დევიდ მარშალი, სტივენ კოლკერი, ანდრეას კორნელიუსი

ასტონ ვილა-ნიუკასლი
ასტონ ვილა: **ტრავიზი** ანტონიო ლუნა, ნათან ბაკერი, ჩარლზ ნხოგბია, ნიუკასლი: **ტრავიზი** გაბრიელ ობერტანი, მაიკ უილიამსონი, რაიან ტეილორი, ჩეიკ ტიტოტე, მასადო ჰიდარა, ხონას გუტიერესი

სანდერლენდი-არსენალი
სანდერლენდი: **ტრავიზი** ჯონ ოში, კრეიგ გარდნიერი, ფილ ბიორდსლი, ვესლი ბრაუნი, ლი კატერმოლი

არსენალი
არსენალი: **ტრავიზი** ტომას როსიცი, თეო უოლკოტი, იაია სახოგო, ლუკაშ პოდოლსკი, ალექს ოსლენდ-ჩემბერლენი, მიკელ არტეტა, აბუ დიაბი, ტომას ვერმალენი

სტოკი-სიტ
სტოკი: **ტრავიზი** გლენ ველანი, ჩარლი ადამი

სიტ
სიტ: **ტრავიზი** დევიდ სილვა, მარტინ დემიკელისი, მიკა რიჩარდსი, ვინსენტ კომპანი

ვესტჰემი-არსენალი
ვესტჰემი: **ტრავიზი** ჯემს მკარტი, სიმუს კულუმანი, დარონ გიბსონი, ანტონინო ალკარაზი

ჩელსი
ჩელსი: **ტრავიზი** სამუელ ეტო, ჯონ ობი მიკელი, ედენ აზარი, ტომას კალასი

საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი
საუთჰემპტონი: **ტრავიზი** ჯოს ჰოიველი

ვესტ ჰემი
ვესტ ჰემი: **ტრავიზი** სტიუარტ დაუნინგი, ჯო კოული, ალუ დიარა, ენდი კეროლი

სუონსი-ლივერპული
სუონსი: **ტრავიზი** ჯონი შელვეი, ნეილ ტეილორი

ლივერპული
ლივერპული: **ტრავიზი** დანიელ სტარჯი, გლენ ჯონსონი, ჯო ალენი, ალი სისოკო, კოლო ტურე

საბურთალოსი (სტატისტიკა)

1.ლივერპული	3	3	0	0	3:0	9
2.ჩელსი	3	2	1	0	4:1	7
3.სიტ	3	2	0	1	8:3	6
4.არსენალი	3	2	0	1	5:4	6
5.სტოკი	3	2	0	1	3:2	6
6.ტოტენჰემი	3	2	0	1	2:1	6
7.მანჩესტერი	3	1	1	1	4:2	4
8.ვესტ ჰემი	3	1	1	1	2:1	4
9.ნორვიჩი	3	1	1	1	3:3	4
10.საუთჰემპტონი	3	1	1	1	2:2	4
11.კარდიფი	3	1	1	1	3:4	4
12.ნიუკასლი	3	1	1	1	1:4	4
13.ასტონ ვილა	3	1	0	2	4:4	3
14.არსენალი	3	1	0	2	4:4	3
15.ვესტჰემი	3	0	3	0	2:2	3
16.სუონსი	3	1	0	2	3:5	3
17.ფულემი	3	1	0	2	2:4	3
18.პალი	3	1	0	2	1:4	3
19.ვესტ ბრომვიჩი	3	0	1	2	0:3	1
20.სანდერლენდი	3	0	1	2	2:5	1

საბურთალოსი (სტატისტიკა)

14.09 ატლეთიკო-ალმერია	1.25	5.5	12.0
14.09 ლევანტე-სოსიედადი	3.0	3.25	2.37
14.09 ბარსელონა-სევილია	1.17	7.5	13.0
14.09 ვილიარეალი-რეალი	5.5	3.8	1.61
15.09 გრანადა-ესპანიოლი	2.4	3.1	3.1
15.09 ხეტაფე-ოსასუნა	1.95	3.4	4.0
15.09 მალაგა-რაიო	1.95	3.6	3.75
15.09 ბეტისი-ვალენსია	2.7	3.3	2.6
16.09 ელჩე-ვალადოლიდი	2.3	3.2	3.2
16.09 ბილბაო-სელტა	1.73	3.8	4.6

ატლეთიკო-ალმერია
ატლეთიკო: **ტრავიზი** არაინი, ალმერია: **ტრავიზი** არაინი, დისკე-სეხასტიან დუბარი

ლევანტე-სოსიედადი
ლევანტე: **ტრავიზი** ნაბილ ელ ზარი, რუბენ გარსია, ექტორ როდასი

ბარსელონა-სევილია
ბარსელონა: **ტრავიზი** იბრაჰიმ აფელი, ისააკ კუენკა, კარლეს პუიოლი

ვილიარეალი-რეალი
ვილიარეალი: **ტრავიზი** ბოიან ჯოკიჩი, ფრანსისკო ფარინოსი

გრანადა-ესპანიოლი
გრანადა: **ტრავიზი** პიტო, ბრაიან ანგულო

ხეტაფე-ოსასუნა
ხეტაფე: **ტრავიზი** მემდლიკენი, ხანიმე გავილანი

ბილბაო-სელტა
ბილბაო: **ტრავიზი** მიგელ ფლანო, ნინო

მალაგა-რაიო
მალაგა: **ტრავიზი** ველინგტონი, დისკე-დუდა

რაიო
რაიო: **ტრავიზი** ნერი კასტილიო, ხოსე კარლოსი, დისკე-ლას ბანგურა

ბეტისი-ვალენსია
ბეტისი: **ტრავიზი** ხუან კარლოს პერესი, სერხიო როდრიგესი, რუბენ კასტრო, ედერ ვილარჩაო

ელჩე-არაინი
ელჩე: **ტრავიზი** არაინი

ვალადოლიდი
ვალადოლიდი: **ტრავიზი** მარია რამოსი, პატრიკ ემერტი, დანიელ ლარსონი

ბილბაო-სელტა
ბილბაო: **ტრავიზი** მიგელ ბალენზინა, კიკე სოლა, ბორხა ეკიზა

სელტა-ვალენსია
სელტა: **ტრავიზი** სამუელ ლორკა

საბურთალოსი (სტატისტიკა)

1.ბარსელონა	3	3	0	0	11:2	9
2.ატლეთიკო	3	3	0	0	10:2	9
3.ვილიარეალი	3	3	0	0	8:3	9
4.რეალი	3	3	0	0	6:2	9
5.ბილბაო	3	2	0	1	5:4	6
6.ესპანიოლი	3	1	2	0	5:3	5
7.სელტა	3	1	2	0	5:4	5
8.სოსიედადი	3	1	1	1	4:3	4
9.გრანადა	3	1	1	1	3:3	4
10.ლევანტე	3	1	1	1	2:8	4
11.ვალადოლიდი	3	1	0	2	3:4	3
12.ვალენსია	3	1	0	2	4:6	3
13.რაიო	3	1	0	2	4:7	3
14.ალმერია	3	0	2	1	6:7	2
15.სევილია	3	0	2	1	3:5	2
16.ელჩე	3	0	2	1	3:6	2
17.ბეტისი	3	0	1	2	2:4	1
18.მალაგა	3	0	1	2	2:4	1
19.ხეტაფე	3	0	1	2	2:5	1
20.ოსასუნა	3	0	0	3	1:7	0

იტალია

14.09 ინტერი-იუვენტუსი	3.3	3.4	2.15
14.09 ნაპოლი-ატლანტა	1.4	4.5	8.0
14.09 ტორინო-მილანი	4.4	3.5	1.83
15.09 ფიორენტინა-კალიარი	1.44	4.4	7.0
15.09 ლიგორნო-კატანია	2.5	3.3	2.8
15.09 ევრონა-სასუოლო	2.25	3.2	3.3
15.09 ლაციო-კიევი	1.67	3.6	5.5
15.09 უდინეზე-ბოლონია	1.83	3.5	4.4
15.09 სამპდორია-ჯენოა	2.4	3.1	3.1
16.09 პარმა-რომა	2.87	3.3	2.4

ინტერი-იუვენტუსი
ინტერი: **ტრავიზი** მარკო კიკარი, კრისტიან კიკუ, მაკდონალდ მაიოგა, დიეგო მილიტო, ხაიერ დანეტი

იუვენტუსი
იუვენტუსი: **ტრავიზი** მარტინ კასერესი, მიროსლავ ჯოზიჩი, ანდრეა ბარძალი, სიმონე პეპე, კლაუდიო მარკიზიო

ნაპოლი-ატლანტა
ნაპოლი: **ტრავიზი** არაინი

ატლანტა-ჯანაპოლო
ატლანტა: **ტრავიზი** ჯანაპოლო ბელინი, რიკარდო კაზორლა

სოსიედადი-ტორინო
სოსიედადი: **ტრავიზი** კარლოს კორინი, ალესანდრო გაში, ბარეტო, სალვატორე მასიელი

მილანი-ტრავიზი
მილანი: **ტრავიზი** იგნასიო აბატე, მათეა სილვესტრი, ჯამპაოლო პაცინი, დანიელე ბონერა

ფიორენტინა-კალიარი
ფიორენტინა: **ტრავიზი** მანუელ პასკუალი, სტეფანო სავიჩი, დავიდ პიზარო, მათეა ფერნანდესი, აჰმედ ეგაზი

კალიარი-ტრავიზი
კალიარი: **ტრავიზი** ფრანჩესკო პიკანო

ლიგორნო-კატანია
ლიგორნო: **ტრავიზი** მიგელ ბორხა, რუბენ ბოტა, ალფონსო დე ლუჩია

კატანია-ტრავიზი
კატანია: **ტრავიზი** ჯუზეპე ბელუჩი, მარიანო ისკო, ჯინო პერუცი

ესპანიოლი-სასუოლო
ესპანიოლი: **ტრავიზი** უორინიო, ლუკა ტონი

სასუოლო-ტრავიზი
სასუოლო: **ტრავიზი** ლუკა მარონი, ემანუელ ტერანოვა, დისკე-დომენიკო ბერარდი

ლაციო-კიევი
ლაციო: **ტრავიზი** სტეფანო რადე, ემელინო ალფარო, სტეფანო მასური, დისკე-ურნანესი

კიევი-ტრავიზი
კიევი: **ტრავიზი** მარსელო ესტიგარიბია, დარიო დაინელი, რობერტო გუანა

უდინეზე-ბოლონია
უდინეზე: **ტრავიზი** მარკო დომენიკო, ჯამპიერო პინცი

ბოლონია-ტრავიზი
ბოლონია: **ტრავიზი** ჯონათან კრისტალო, არმინო მორელი, დენის ალიბეკი, ფრედერიკ სორენსენი, ნიკოლო ჩერუბინი

სამპდორია-ჯენოა
სამპდორია: **ტრავიზი** ვასკო რეჯინი, ვინჩენცო ფიორილი, ნიკოლა პოცი

ჯენოა-ტრავიზი
ჯენოა: **ტრავიზი** მარკო სამპრისი, ჯოვანი მარჩეუ

პარმა-ტრავიზი
პარმა: **ტრავიზი** ნიკოლა პავარინი, ჯოელი ობი, გაბრიელ პალეტა, დანიელე გალოპა

რომა-ტრავიზი
რომა: **ტრავიზი** მაიკლ ბრედლი, მათეა დესტრო

საბურთალოსი (სტატისტიკა)

1.ნაპოლი	2	2	0	0	7:2	6
2.ფიორენტინა	2	2	0	0	7:2	6
3.რომა	2	2	0	0	5:0	6
4.ინტერი	2	2	0	0	5:0	6
5.იუვენტუსი	2	2	0	0	5:1	6
6.უდინეზე	2	1	0	1	4:3	3
7.მილანი	2	1	0	1	4:3	3
8.ლიგორნო	2	1	0	1	4:3	3
9.ატლანტა	2	1	0	1	3:2	3
10.ტორინო	2	1	0	1	2:2	3
11.კალიარი	2	1	0	1	3:4	3
12.ლაციო	2	1	0	1	3:5	3
13.ვერონა	2	1	0	1	2:4	3
14.სამპდორია	2	0	1	1	2:3	1
15.კიევი	2	0	1	1	2:4	1
16.პარმა	2	0	1	1	1:3	1
17.ბოლონია	2	0	1	1	2:5	1
18.კატანია	2	0	0	2	1:5	0
19.ჯენოა	2	0	0	2	2:7	0
20.სასუოლო	2	0	0	2	1:6	0

ბაიერნი-ჰანოვერი
ბაიერნი: **ტრავიზი** მარკო გიოტე, ლუკას რაიკერი, ხაიერ მარტინესი, ტიანო ალკანტარა, პოლგერ ბადშტურბერი

ჰანოვერი-ტრავიზი
ჰანოვერი: **ტრავიზი** მამე დიუფი, კრისტიან პანდერი, ფრანკა, სტივენ ჩე-

რუნდელი-დისკე-ვალაბოლ
რუნდელი: **დისკე-ვალაბოლ** შულსტი

ვესტჰემი-არსენალი
ვესტჰემი: **ტრავიზი** დომინიკ კორი, ნიკლას ლომბი

ვესტჰემი-არსენალი
ვესტჰემი: **ტრავიზი** ბას დოსტი

არსენალი-არსენალი
არსენალი: **ტრავიზი** ანდრეა პილარი

ვესტჰემი-არსენალი
ვესტჰემი: **ტრავიზი** მათეო პავლოვიჩი, ლუკას შმიტცი, ტომ ტრიბული, ალექსანდარ სტეფანოვიჩი

არსენალი-არსენალი
არსენალი: **ტრავიზი** იან როზენტალი, მარკ სტენდერა

მაინცი-შაი
მაინცი: **ტრავიზი** შონ პარკერი, ნიკ ზიმონი

შაი-არსენალი
შაი: **ტრავიზი** კლას-იან ჰუნტელარი, ჩინელუ ობასი, კირიაკოს პაპა-დოპულოსი, ანტონი ანანი

დორტმუნდი-არსენალი
დორტმუნდი: **ტრავიზი** ოლკაი გუნდოგანი, ლუკაშ პიშჩეკი

შაი-არსენალი
შაი: **ტრავიზი** ილიჩევიჩი, გოიკო კანარი

ჰოფენჰაიმი-გლადბახი
ჰოფენჰაიმი: **ტრავიზი** აჰმედ სასი, რომარიო, ანდრეას ლუდვიგი, რობერტო ფირმინო, ტომ ვიზე, ტობიას ვეისი, მეტიუ დელაპეიერი, ბორის უუკევიჩი, დისკე-სეიად სალიპოვიჩი

გლადბახი-ტრავიზი
გლადბახი: **ტრავიზი** შოელ მერო, მამუდ დაუდი

ბაუნჰაიმი-ნიუნხეიტი
ბაუნჰაიმი: **ტრავიზი** მათეასენი, მარსელო კორეია



ევროპარლამენტმა უკრაინას მხარი დაუჭირა

უკრაინა-ევროკავშირის შორის ასოციაციის თაობაზე ხელშეკრულების რატიფიკაცია სავსებით რეალურია, თვლის პრეზიდენტი იანუკოვიჩი

— ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, სადაც დაგმოხილია რუსეთის ზეწოლა აღმოსავლეთის პარტნიორულ ქვეყნებზე, მათ შორის უკრაინაზეც. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ევროკავშირის მხარე დაადასტურა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნები, რომლებიც რუსეთის მხარე ზეწოლას განიცდიან, — იტყობინება ტელეკომპანია „ინტერ“.

ევროპარლამენტის დეპუტატებმა მიმართეს ევროსაბჭოს, რათა შეიმუშაოს კონკრეტული წინადადებები აღმოსავლეთის პარტნიორული ქვეყნების დაცვის მიზნით. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ევროკავშირი ყოველმხრივ დაეხმარება იმ ქვეყნებს, რომელთაც დასავლეთთან დაახლოება სურთ. რეზოლუცია ასევე შეიცავს მონაღებებს რუსეთის მიმართ, შეწყვიტოს ძალისმიერი ზეწოლა მეზობლებზე.

— ნებისმიერი დავა ცივილიზებული გზებით უნდა აღმოიფხვრას, როგორც ამას მსოფლიო საავტორო ორგანიზაციის პრინციპები ითვალისწინებს, — ნათქვამია რეზოლუციაში.

დადგენილებაში საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო ევროკავშირისა და აღმოსავლეთის პარტნიორული ქვეყნების დაახლოებას. ნათქვამია, რომ ასოციაციის თაობაზე ხელშეკრულების ხელმოწერის (ან პარაფირების) შემთხვევაში დროებით ამოქმედდება ასოციაციის თაობაზე ხელშეკრულების ცალკეული მუხლები, რაც ითვალისწინებს: 1) თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას; 2) დახმარების პროგრამების ამოქმედებას; 3) კრედიტებს, რაც აღმოსავლეთის პარტნიორულ ქვეყნებში კრიზისის დაძლევისაკენ მიმართულია; 4) საეკონომიკური გამართლებების საბოლოო სახეს კი ყოველივე უკვე ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ შეიძენს.

— რუსეთის საზღვრებთან სტაბილურობის, თანამშრომლობისა და კეთილდღეობის ზონა იქმნება. ეს ამ ქვეყნის ინტერესებს სავსებით ემთხვევა, — თვლიან ევროპარლამენტარები.

მოსკოვი ამას არ ეთანხმებიან. იქ „ერთიანისა და განუყოფლის“ აღდგენაზე ოცნებობენ და არა მარტო ოცნებობენ, არამედ ამ მიმართულებით აქტიურად მოქმედებენ. უკრაინას პუტინის გეგმებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. პუტინი ყველაფერს აკეთებს, რათა ეს ქვეყანა ე.წ. „საბაჟო კავშირში“ ჩართოს. დასავლეთში უდიდესი რეზონანსი ჰქონდა კრემლის საიდუმლო გეგმამ, რასაც უკრაინის მოსკოვის ორბიტაში დაბრუნება უნდა უზრუნველყო. მას ხელი თავად პრეზიდენტმა პუტინმა მოახერხა, თუმცა რადაც მანქანებით ის გახეთ „ზერკალონდელისა“ ფურცლებზე მოხვდა. გეგმაში ჩამოთვლილია ღონისძიებები, რომლებიც უკრაინის მიმართ უნდა გატარდეს:

1. გაკლენიანი პრორუსული დობის ფორმირება, რაც უკრაინის ხელისუფლებას საშუალებას არ მისცემს გადადგას მისთვის დამატებული ნაბიჯი, ან უხელ მოაწეროს ხელ შეკრულებას ევროკავშირთან ასოციაციის თაობაზე;



2. უკრაინის პარლამენტში სხვადასხვა ფრაქციის დეპუტატებისაგან ძლიერი ჯგუფის შექმნა, რომელიც ქვეყნის „საბაჟო კავშირში“ შესვლას მხარს დაუჭერს;

3. პროდასავლური ორიენტაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პროპაგანდის განვითარება, პროპაგანდისტულ ღონისძიებებში ყურნალისტებისა და ექსპერტების აქტიური ჩართვა, მოსახლეობის დარწმუნება, რომ უკრაინის „საბაჟო კავშირში“ შესვლა ამ ქვეყნის ეკონომიკისათვის მომგებიანია;

4. მართლმადიდებლობის ეპიტორის აქტიური გამოყენება, უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის (მოსკოვის პატრიარქატის) მღვდელმსახურთა რუსეთ-უკრაინის დაახლოების პროპაგანდაში ჩართვა; ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ დასავლეთთან დაახლოება საფრთხეს შეუქმნის მართლმადიდებლობას, გამოიწვევს პომოსესქუალიზმის, გარყვნილების დაწერვასა და ა.შ.

5. კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რაც მიმართულია უკრაინაში რუსული ბიზნესის პოზიციების განმტკიცებისაკენ;

6. უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში რუსეთთან დაახლოებაში დაინტერესებული პოლიტიკური და ბიზნესჯგუფების გაძლიერება, რეგიონალური ელიტების პოზიციების განმტკიცების უზრუნველყოფა;

7. უკრაინის რეგიონების ავტონომიზაციისათვის ხელის შეწყობა, უკრაინის ფედერალიზაცია;

8. ერთიანი კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, ამ მიზნით სათანადო პროგრამების ამოქმედება.

დოკუმენტში მოცემულია დანერგვითი ინსტრუქციები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს როგორც უკრაინული პარლამენტარების, მოსკოვის უკრაინის, ასევე ექსპერტებისა და ყურნალისტების მოსყიდვა, მათი მეშვეობით მსოფლიოში უკრაინის სახელგამტეხი ინფორმაციის გავრცელება, პარალელურად უკრაინის შიგნით არეულობის მოწყობა.

— აუცილებელია შეიქმნას ვითარება, როცა უკრაინის ამჟამინდელი ელიტა დადგება ალტერნატივის წინაშე, ან ხელისუფლების დაკარგვა, ან „საბაჟო კავშირში“ შესვლა. თუკი, მიუხედავად ამისა, პროდასავლური კურსი მაინც გაგრძელდა, გატარდეს ღონისძიებები ამჟამინდელი ხელისუფლების ჩასანაცვლებლად უფრო მისაღები ძალებით, — ნათქვამია დოკუმენტში.

სიტყვას საქმეც მოჰყვა. უკრაინაში გამოიკვეთა ძალა, რომელმაც გამოთქვა მზადყოფნა გაატაროს კრემლის ინტერესები. დღეისათვის ისინი დაზარალებული არიან კუჩმას ადმინისტრაციის ყოფილი თავ-კაცის ვიქტორ მედვედჩუკის გარშემო. კრემლიც მედვედჩუკს ინაუგურაციის შესახებ შემცველად განიხილავს.

— საამისოდ აუცილებელი იყო ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევა, ქვეყნის შიგნით არეულობის ინსპირირება. სხვაგვარად რუსული სტეპა ვერ განხორციელდებოდა, — თვლის ორგანიზაცია „სვობოდას“ ლიდერი უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ოლეგ ტიაგინიკო.

მართლაც, დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებში გამოჩნდა სტატიები, სადაც ნათქვამი იყო, რომ თურმე პატიმრობაში მყოფი იულია ტიმოშენკოს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, სოლო უკრაინულ ციხეებში კი საშიშროება რეჟიმია, ადამიანის უფლებები უხეშად ირღვევა და ა.შ. პარალელურად გავრცელდა ცნობები, თითქოს ასადისათვის იარაღის მიწოდება უკრაინული პორტების გავლით ხორციელდება, ხოლო სირიელი ფუნდამენტალისტების რიგებში კი უკრაინელი დაქირავებული მებრძოლებიც არიან.

შემდეგ ამას უკრაინასთან სავაჭრო ომი მოჰყვა. სავაჭრო ომს ყველაფერი უნდა დაევირგინებინა და კიევის მიერ თეთრი ბაი-ა

ლის აფრიალებით დასრულებულიყო. უკრაინული მასმედიის ცნობით, ამას მოსკოვი პუტინ-ინაუგურაციის წინააღმდეგ მიმართული მოწყობით და მასზე ხელი მოწვევებოდა შემორანდებოდა. უკრაინის „საბაჟო კავშირში“ შესვლასაც მწვანე შუქი აენთებოდა.

— კრემლის განზრახვა ჩაიშალა. საიდუმლო გეგმაც გახეთქების ფურცლებზე მოხვდა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ამრიგად, მოსკოვმა ბრძოლის ეს რაუნდი წააგო, თუმცა პუტინი ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებდა. მოსკოვიდან ახალ-ახალი მუქარები გაისმა. ბუნებრივია, დასავლეთი ამისადმი გულგრილი ვერ დარჩებოდა. ევროკავშირის ლიდერებმა ერთი-მეორის მიყოლებით უკრაინის მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს. თავად უკრაინის უმაღლესმა რადამ კი შესაშურად ერთსულოვნად მიიღო კანონები, რომლებიც ქვეყნის ევროპასთან დაახლოებას განაპირობებს.

— პარლამენტში გამოკვეთილი უმრავლესობა არ არსებობს, მაგრამ ევროინტეგრაციის საკითხში როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია ერთსულოვანი იყვნენ, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

კრემლი ისტაბარტს მაინც არ იტყვია. რუსულმა დიპლომატიამ დასავლეთში აქტიური მუშაობა გააჩაღა. მალე მასმედიამ განჩინა ინფორმაცია, თითქოს გერმანიის კანცლერი მერკელი უკრაინასთან ასოციაციის თაობაზე ხელშეკრულებისათვის ხელის მოწერას არ აპირებს. მართლაც, მერკელმა არაერთგზის განაცხადა, რომ სანამ იულია ტიმოშენკოს არ გაათავისუფლებენ, ასოციაციაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ტიმოშენკო, როგორც ცნობილია, ჯერჯერობით პატიმრობაში რჩება. ზოგიერთი ყურნალისტი ვარაუდობდა, რომ კანცლერი ამას ხელზე დაიხვევდა და უკრაინა-ევროკავშირის შორის ხელშეკრულების დაბლოკვას შეეცდებოდა.

— არა მგონია, რომ ეს მოხდეს, — თვლის გერმანელი პოლიტიკოლოგი რარი, — დღეს უკრაინისადმი მხარდაჭერა უკვე საკმაოდ დიდია, უკრაინა-ევროკავშირის შორის ასოციაციის ხელშეკრულების ბლოკირება ევროპის გათიშვას გამოიწვევს, რაც, რასაკვირველია, დაუშვებელია.

ევროპარლამენტის დადგენილებამ ოფიციალურ კიევის დამატებითი კოზირი მისცა. დასავლელი ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ასოციაციის თაობაზე ხელშეკრულების რატიფიკაციის აღ-ბათობა უკვე 85 პროცენტია. ამან უკრაინის პრეზიდენტის ოპტიმიზმიც განაპირობა.

— წელს მართლაც რეალურია ასოციაციის თაობაზე ხელშეკრულების რატიფიკაცია, — თვლის ვიქტორ იანუკოვიჩი.

მიუხედავად ამისა, საბოლოოდ საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილია. ნოემბრამდე საკმაოდ დროა. მართალია, ევროპარლამენტის დადგენილება რუსეთის საბრძოლო ღონის ერთგვარად ჩააცხრობს, მაგრამ მის საბოლოოდ განვითარებაზე სამწუხაროდ შორია. ამაზე ვლადიმერ პუტინის განცხადებაც მეტყველებს.

— უკრაინა დასავლეთით მიდის, კეთილი და პატიოსანი, თუმცა ოდესმე ჩვენ აუცილებლად შეხვდებით. რატომ? იმიტომ, რომ ერთი ხალხი ვართ.

პუტინის თანაშემწე გლაზოვი თავის მხრივ აცხადებს, ვილნიუსში ასოციაციის თაობაზე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა უკრაინის სუვერენიტეტის დასასრულს ნიშნავს.

— ჩვენც კიევთან ყოველგვარ მოლაპარაკებებს შევწყვეტთ, — ამბობს გლაზოვი, — და კონტაქტს პირდაპირ ბრიუსელთან დავამყარებთ.

გლაზოვის განცხადების ერთგვარ დამატებად ვლადიმერ შირინოვსკის სიტყვები გაისმა:

— დონბასი, დნეპროპეტროვსკი, ოდესა და ყირიმი ძირძველი რუსული მიწებია! ისინი რუსეთს უნდა დაუბრუნდეს!

მსგავსი აგრესიული რიტორიკა წინ უსწრებდა რუსეთ-საქართველოს 2009 წლის ომს. რუსეთ-უკრაინის დაძაბულობამაც სადღეისოდ იმ ხარისხს მიაღწია, როგორც ეს 2009 წელს ჩვენს ქვეყანასა და რუსეთს შორის იყო. თუმცა უკრაინა საქართველო როდია. მასთან ომი რუსეთისათვის ცუდად დამთავრდება. კრემლში ეს კარგად ესმით და ამიტომ ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მოსკოვი სამხედრო მოქმედებებზე წავიდეს. საავარაუდოდ, აქტიური ჩეკისტურ ოპერაციებზე გაკეთდება. რუსეთი უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონების დესტაბილიზაციას შეეცდება და ამ საქმეში პუტინის მოკავშირედ ბატონი მედვედჩუკი მოგვევლინება. ვილნიუსის სამიტის მოახლოებასთან ერთად, პროვოკაციების მოწყობის მცდელობები გაიზრდება, თუმცა მსოფლიოში დღეს შექმნილი მდგომარეობა კიევის დამატებითი კოზირებს აძლევს. თუკი უკრაინის ხელისუფლებამ დარაზმულადა შეინარჩუნა, ქვეყნის ევროინტეგრაციასაც ვერაფერი შეაფერხებს.

ნიკა თევზაძე

ფსიქიკალი „საჩუქარი“ ბრუნდება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ან უსინდოსოდ მოგვეცნენ. მართალი რომ გითხრათ, ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება. „საჩუქარი“ ხომ რაღაცის ხარჯზე დაიხურა? ჩვენი ფესტივალი დაიხურა იმიტომ, რომ უფრო კარგად ვერაფერი თავი ქალბატონ ეკა მაზმიშვილს. ეს იყო პირადად უგულავას გადამწყვეტილება, თანაც იყო ძალიან უსინდოსო გადამწყვეტილება, ეს იყო ნამდვილი პოლიტიკური ანგარიშსწორება. ის, რაც მოხდა, ეს არის სრულიად უპრეცედენტო შემთხვევა, რომ ქალაქის მერმა მოკლას 11 წლიანი ფესტივალი, გადამწყვეტილი და იმავე დღეს, იმავე თარიღით, იმავე თვეს დააარსოს სხვა ფესტივალი. მით უმეტეს, როგორ ახლობლებად ვთვლით ეკა მაზმიშვილსაც და ჭოლა ნულაძესაც. სად გაგიგიათ ეგეთი რამ? სად წარმოგადგენიათ, რომ ასეთმა ახლობლებმა ასეთი რამ ჩაიდინონ? გააკეთებინათ მისი, ივანის, ხმას როგორ ამოვიღებდი? რა უფლება მქონდა? რა ჩემი საქმე იყო? ეს ხომ არ არის საკუთარი კანტორა? მაგრამ ის, რაც გააკეთა ეკა მაზმიშვილმა და უგულავამ, ეს არაფერში არ ჯდება, რომ ტრადიციული ფესტივალი მოსპო. რომ ვკითხვ ნეკა სუბისკვერამაც და ყველას ეს როგორ ჩაიდინეთ-მეთქი, მიპასუხეს, ჩვენ გვინდოდა ფესტივალი თბილისისა და მთხვევადია. ის, რომ ჩვენი ფესტივალი ამ პერიოდში წლების განმავლობაში ტარდებოდა, ეს იყო საერთაშორისო დირექტორატის გადამწყვეტილება. ოქტომბერში იმიტომ დაენიშნეთ ფესტივალი, რომ სწორედაც დამთავრდა თბილისისა, ჩვენი ფესტივალის ბოლო დღე ყოველთვის ემთხვეოდა თბილისისა. მაგათმა რა, რამე ორიგინალური მოიფიქრეს? როდესაც გავმწარდი და ხმა ავიმალდე, რადგან უცხოელებისგან გავიგე და ამის შესახებ არავინ შემატყობინა, თქვეს, რას ნერვიულობს, ვერ გავიგეთ, ჰქონდეს ბატონო, ბოლო ვკირაო. მათ მოსპეს მცნება „საჩუქარი“. ჩვენ არავისთვის არასდროს ამ წლების მანძილზე არც ერთი კამიკი პონორარი არ გადავიხდით. საჩუქარი იმიტომ ერქვა, რომ ჩვენ ვთქვით, ყველა ჩამოღობს საჩუქარად. ახლა ეს გამოირიცხვება. უგულავამ თავის ფესტივალზე იმხელა პონორარების გადახდა დაიწყო, ვის ვუთხრა, 97 წელში რომ გვიჭირდა, ასე გვიჭირს ახლაც, არიქ ვიღუპებით-მეთქი, ვერავის ვეღარ ვეტყვი. არც დაიჯერებენ. პირველი-ორი წლის მანძილზე არავინ იცოდა ვინ იყო ეკა მაზმიშვილი და ყველას ეგონა, რომ ჩამოდიოდნენ თუშანიშვილის ფესტივალზე.

სამგლოვიარო განცხადება

სერგო ფიფია ოჯახით იუნყება უახლოესი მეგობრის, კეთილშობილი ადამიანის **ბაჩანაყ შახაშიას** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

„ღვედაშვილების სავარეულო კავშირი“ ღრმა მწ უხარებას გამოთქვამს **უქარაგაგ (უქარა) ქიხასას კი ღვედაშვილის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადება მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა. 12-დან 17 საათამდე.

შვეულად: 1. ქართული ეხოსვოხი ბ

ლი მზატვარი მამაკაცი, გო-ბელენისტი; 2. ხელოვნურად გამოშრალი და ფხვნილად ქცეული ფეკალური მასისგან დამზადებული ორგანული სასუქი; 3. სპარსეთის ძველი დედაქალაქი; 4. ფრანგი ნევროპათოლოგი, ფსიქოთერაპიის ფუძემდებელი; 5. მოტლანდიის ყველაზე დიდი ქალაქი; 11. უკრაინული სოფელი; 12. შემავრებული პორტუგალიური ღვინო; 14. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში; 16. სხვადასხვა ოპერის ფრაგმენტებისაგან შექმნილი იტალიური კომიკური ოპერა; 17. საადგილმამულო ბანკი მე-19 საუკუნის საქართველოში; 19. გერმანული ელექტროტექნიკური კონცერნი; 21. მზის სისტემის პლანეტა; 22. პოლიციის ჩინი საფრანგეთში.

თარაზულად: 6. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 7. ქალაქი, ნავსადგური იტალიაში; 8. იაპონელი მოდელიორი; 9. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 10. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 13. უღანაშაულობის დამადასტურებელი საბუთი; 15. საკუთარ ჯანმრთელობაში დაქვევებით გამოწვეული ავადმყოფური შიში; 18. პაპირუსისგან დამზადებული ტურ პეიერდალის ერთ-ერთი საექსპედიციო ნავის სახელწოდება; 20. ცხენების ჯოგი; 23. პლაჟი როი დე უაიერიოში; 24. პირველი პირობული ელექტროსადგური საქართველოში.

შეადგინა თეოფანეშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ეხოსვოხების პასუხები:

პროსპორი ა
შვეულად: 1. კაზისტიკა; 2. რადიო; 3. თურინჯი; 4. ხვატი; 5. კლიონგი; 6. ცენტრი; 7. პილტონი; 9. ფაველა; 13. ლოიდი; 17. რომა; 18. ჩაი.
თარაზულად: 1. კანტორი; 3. თულუხი; 8. პლუნეი; 10. ბოქსიტი; 11. ფიჭვი; 12. მიელიტი; 14. იტალია; 15. ხრიდოლი; 16. გორდი; 19. მადერა; 20. პარლემი; 21. საღამო.

1	2	3	4	5
6			7	
			8	
9		10		11
				12
13		14	15	16
17				18
20				
		21		
			22	
				23
24				

პროსპორი ბ
შვეულად: 1. ალბანსტი; 2. შვეროლი; 3. ტიგელი; 4. აქატი; 5. ნიანგი; 11. ვისოლი; 12. ჯაფარა; 14. გურუ; 16. რეპლიკა; 17. სარბაზი; 19. ბერინგი; 21. მძიმე; 22. ლუარა.
თარაზულად: 6. კლარნეტი; 7. კორპუსი; 8. ტენი; 9. შალა-ხო; 10. ლედი; 13. გრიგი; 15. ტროპოსფერი; 18. მიკრობი; 20. ალჩუ; 21. მარისი; 23. კატამარანი; 24. ზარზმა.

